ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

,,ქართული ოცნების“ სხდომის

ოქმი N 11

13.05.2026
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში. სხდომას ხელმძღვანელობდა ფრაქციის თავმჯდომარე, ბატონი დიმიტრი მხეიძე.

ესწრებოდნენ ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ წევრები:

გიორგი ჭიღვარია, მარეხი ნიჟარაძე, ამირან კოპალეიშვილი, ლაშა გვენეტაძე, გიორგი იობაშვილი, ბესიკ ჩეჩელაშვილი, კობა ფხაკაძე, მანანა ჩიხლაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ალეკო თამაზაშვილი, ბიქტორ გვეტაძე, სალომე სარალიძე, სანდრო ნერგაძე, მაგდა კოსტავა, ლანა ჩიტიძე.

სულ 16 წევრი

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“თავმჯდომარემ ბატონმა დიმიტრი მხეიძემ და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,მუნიციპალური ინსპექციის“ ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ბატონი ლევან კინწურაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ა(ა)იპ ,,მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელი

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ , ბატონმა დიმიტრი მხეიძემ დღის წესრიგთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალური მერიის ა(ა)იპ ,,მუნიციპალური ინსპექციის '' ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

დღის წესრიგის პირველი საკითხი- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,მუნიციპალური ინსპექციის" ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,მუნიციპალური ინსპექციის" ხელმძღვანელმა, ბატონმა ლევან კინწურაშვილმა.

ლევან კინწურაშვილი : ,,მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,მუნიციპალური ინსპექციის" ანგარიშს 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. 2025 წელს გამოიცა **83** დადგენილება, მათ შორის **44** დადგენილება სანებართვო პირობების დარღვევის გამოვლენის ფაქტზე, **26** უნებართვო მშენებლობის გამოვლენის ფაქტზე, **13** დადგენილება საურავის დაკისრებისა და მშენებლობის შეჩერების შესახებ; სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურიდან გადმოგზავნილი წერილების საფუძველზე შემოწმებულია **159** სამშენებლო ობიექტი; ექსპლუატაციაში მიღებული იქნა **66** მშენებლობადამთავრებული შენობა; სამშენებლო სამართალდარღვევებიდან 2025 წელს შემოვიდა ჯამში **248 740** ლარი.

<u>სანებართვო პირობების დაცვისა და საექსპლოატაციო ობიექტების ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოები, კერძოდ დასუფთავება:</u>

1. დასუფთავების მოსაკრებლის 2025 წლის ბიუჯეტი 4 200 000 ლარი.
2. 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემოსულმა თანხამ შეადგინა **3 971 549,62** ლარი.
3. 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სასამართლოში მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო გაგზავნილია 6 სარჩელი.
4. 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სასამართლოში წინა წლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე 4 სააღსრულებო ფურცელი დაკისრებული თანხის იძულებით ამოღების მიზნით გადაგზავნილია სააღსრულებო ბიუროში.
5. გაფორმდა 3 მორიგება და 7 შუამდგომლობა სარჩელის უკან გამოხმობასთან დაკავშირეით, ვინაიდან სრულად მოხდა დავალიანების დაფარვა.

პირუტყვის დაკავებაზე დაწერილი ოქმები

1. დაჯარიმდა 42 ადამიანი.
2. დაიწერა 58 საჯარიმო ოქმი.
3. 36 ოქმი ა.ს.კ. 148 მუხლის მე-3 ნაწილი (8400 ლარი).
4. 22 ოქმი ა.ს.კ. 148 მუხლის მე-4 ნაწილი (3000 ლარი), ჯამში **11400** ლარი.

5. ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევასთან დაკავშირებით დაიწერა 5 ოქმი, ა.ს.კ. 103 მუხლით (**954** ლარი).

ტრანსპორტი

1. 2025 წლის ტრანსპორტის ნებართვის საფასურის ბიუჯეტი 285 000 ლარი.
2. 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემოსულმა თანხამ შეადგინა **289 206** ლარი.
3. დაიწერა 3 საჯარიმო ოქმი სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტზე (**300** ლარი).

მუნიციპალიტეტის ქონების დაზიანება

1. დაფიქსირდა 12 შემთხვევა მუნიციპალური ქონების დაზიანების.
2. შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების მიზნით მიმდინარეობს საქმის წარმოება.
3. შემთხვევაში მიყენებული ზარალის იძულებით ამოღების მიზნით სააღსრულებო ფურცელი გადაგზავნილია აღსრულების ბიუროში.
4. შემთხვევაში ბრალეული მძღოლის მიერ სრულად მოხდა მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. 1 შემთხვევაში ვერ მოხერხდა ბრალეული პირის დადგენა.

<u>ზედამხედველობის განყოფილება:</u>

2025 წლების დამტკიცებული ბიუჯეტით არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (მუნიციპალიტეტის ქონების იჯარა) შემოსავლის გეგმა სამსახურს განესაზღვრა **700000** ლარი.

ა) მუნიციპალური ქონებიდან იჯარის შემოსულმა თანხამ შეადგინა **724790.58** ლარი.

ბ) გარე რეკლამის განთავსების იჯარიდან და გარე ვაჭრობის უფლების საფასურიდან ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა **142269.00** ლარი.

სულ 2025 წელს ბიუჯეტში შემოვიდა **867059,58** ლარი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარის გეგმა შეადგენდა **120000** ლარს. ბიუჯეტში 2025 წელს შემოსულმა თანხამ შეადგინა **110593** ლარი.

2025 წელს ქუჩის სამუშაოს საწარმოებლად გაცემულია **157** ნებართვა

2025 წელს შევათანხმეთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების **59** სქემა.

2025 წელს შედგენილია **104** საჯარიმო ქვითარი. მათ შორის:

1. სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის დაკავებისათვის შედგენილია **9** ქვითარი.

2. საზოგადოებრივი ადგილების თვითნებური შეზღუდვისათვის შედგენილია **12** ქვითარი

3. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯებისათვის **5** ოქმი

4. გზის საფარის თვითნებური გაჭრისათვის შედგენილია **7** ქვითარი.

5. გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევასა და რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის შედგენილია **9** ქვითარი .

6. სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობისათვის შედგენილია **2** ოქმი.

7. ამტვერებადი მასალის გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებით ან/და არასათანადოდ გადახურული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისათვის შედგენილია **59** ქვითარი.

8. ვანდალიზმის ფაქტზე შედგენილია **1** ქვითარი.

სულ ჯარიმით დაკისრებული თანხა შეადგენს **91300** ლარს. ბიუჯეტში შემოსულია **93532.98** ლარი.

სულ განყოფილების საქმიანობის შედეგად ბიუჯეტში შემოსულია **1071184** ლარი.

<u>მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება:</u>

ავტომობილების დგომა-გაჩერების წესის დარღვევისთვის 2025 წელს შედგა 304 საჯარიმო ქვითარი;

აკუსტიკური ხმაურის დადგენილი ნორმების კონტროლის მიზნით შემოწმებული იქნა 10 ობიექტი;

პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დაცვასთან დაკავშირებით შემოწმებული იქნა 23 ობიექტი.

<u>ეკოლოგიისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის ზედამხედველობის განყოფილება:</u>

1. 2025 წელს განყოფილების მიერ განხილული იქნა **468** წერილი;
2. **99** თანხმობა ხეების გადაბელვით სამუშაოებთან დაკავშირებით;
3. **95** თანხმობა ხეების სხვლა-ფორმირებასთან დაკავშირებით;
4. **117** თანხმობა გამხმარი ხეების მოჭრასთან დაკავშირებით;
5. **75** უარი ხეების მოჭრის, სხვა-ფორმირებასა და გადაბელვით სამუშაოებთან დაკავშირებით;
6. **55** ინფორმაციული შინაარსის წერილი;
7. **69** თანხმობა გამხმარი ტოტების მოჭრასთან დაკავშირებით.

<u>ობიექტების დაცვის, სწრაფი რეაგირებისა და გარე ვაჭრობის კონტროლის ზედამხედველობის განყოფილება:</u>

2025 წელს უნებართვოდ განხორციელებული გარე ვაჭრობის გამოვლენის ფაქტზე შედგენილი იქნა **2** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 153(3) მუხლის მეოთხე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას **500** ლარის ოდენობით (ჯამში **1000** ლარი).

2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 1 436 200 ლარი

ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 1 423 980 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე დარიცხული და გაცემული იქნა 1 255 745 ლარი;

დანარჩენი ხარჯები: საქონელი და მომსახურეობა, სოციალური უზრუნველყოფა, არაკლასიფიცირებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ხარჯმა შეადგინა 168 235 ლარი.

რაც შეეხება 2026 წლის იანვრიდან პირველ მაისამდე შესრულებულ სამუშაოებს.

ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია“

1. ადმინისტრაციული განყოფილება;
2. სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება;
3. ზედამხედველობის განყოფილება;
4. სანებართვო პირობების დაცვისა და საექსპლოატაციო ობიექტების ზედამხედველობის განყოფილება;
5. მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება;
6. ეკოლოგიისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის ზედამხედველობის განყოფილება;
7. ობიექტების დაცვის, სწრაფი რეაგირებისა და გარე ვაჭრობის კონტროლის ზედამხედველობის განყოფილება.

8. კანცელარიით შემოსული კორესპონდენცია: 246
9. ელექტრონული განცხადებები (ms.gov.ge): 115

სამსახურიდან გასული წერილები: მათ შორის მოქალაქეთა პასუხები 706, ხოლო სხვადასხვა სამსახურსა თუ უწყებაში გაგზავნილი წერილები 360

1. სამსახურებრივი ბარათი: 133
2. გამოიცა 192 ბრძანება

3. ელექტრონულად შემოსული წერილები: 284

4. ცხელ ხაზზე შემოვიდა 283 ზარი;

დადგენილება: 44

<u>სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება:</u>

გამოიცა **23** დადგენილება, მათ შორის **14** დადგენილება სანებართვო პირობების დარღვევის გამოვლენის ფაქტზე, **9** უნებართვო მშენებლობის გამოვლენის ფაქტზე. ჯამში აღნიშნული დადგენილებებით დაწერილი ჯარიმების მოცულობა შეადგენს **244 400** ლარს.

სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურიდან გადმოგზავნილი წერილების საფუძველზე შემოწმებულია **87** სამშენებლო ობიექტი;

ექსპლუატაციაში მიღებული იქნა **8** მშენებლობადამთავრებული შენობა;

სამშენებლო სამართალდარღვევებიდან 2026 წლის 01 იანვრიდან 01 მაისამდე შემოვიდა ჯამში **152 697** ლარი.

<u>სანებართვო პირობების დაცვისა და საექსპლოატაციო ობიექტების ზედამხედველობის განყოფილება:</u>

დასუფთავება

- დასუფთავების მოსაკრებლის 2026 წლის ბიუჯეტი 4 200 000 ლარი.
- 2026 წლის 30 აპრილის ჩათვლით შემოსულმა თანხამ შეადგინა **1 312 302,56** ლარი.
- 2026 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით სასამართლოში მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო გაგზავნილია 14 სარჩელი.
- შედგა 3 შეთანხმება დავალიანების დაფარვის თაობაზე.
- წინა წლებში გაგზავნილ საქმეზე გაფორმდა 2 მორიგება, 2 შუამდგომლობა სარჩელის უკან გამოხმობასთან დაკავშირეით, ვინაიდან სრულად მოხდა დავალიანების დაფარვა, 1 შემთხვევაში დაეკისრა გადახდა. 1 სააღსრულებო ფურცელი დაკისრებული თანხის იძულებით ამოღების მიზნით გადაგზავნილია სააღსრულებო ბიუროში.

პირუტყვის დაკავებაზე დაწერილი ოქმები

- დაჯარიმდა 6 ადამიანი.
- დაიწერა 6 საჯარიმო ოქმი.
- 5 ოქმი ა.ს.კ. 148 მუხლის მე-3 ნაწილი (250 ლარი).
- 1 ოქმი ა.ს.კ. 148 მუხლის მე-4 ნაწილი (500 ლარი), ჯამში **1750** ლარი.

- ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევასთან დაკავშირებით დაიწერა 2 ოქმი, ა.ს.კ. 103-ე მუხლის მე-2-ე ნაწილით (300 ლარი).

ტრანსპორტი

1. 2026 წლის ტრანსპორტის ნებართვის საფასურის ბიუჯეტი 285 000 ლარი.
2. 2026 წლის 30 აპრილის ჩათვლით შემოსულმა თანხამ შეადგინა **94 280** ლარი.
3. დაიწერა 4 საჯარიმო ოქმი, აქედან 2 უსებართვი საქმიანობისთვის და 2 სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტზე (400 ლარი).

მუნიციპალიტეტის ქონების დაზიანება

- დაფიქსირდა მუნიციპალური ქონების დაზიანების 6 შემთხვევა:
- 3 შემთხვევაში ბრალეული მძღოლის მიერ სრულად მოხდა მუნიციპალიტეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.
- 1 შემთხვევაში ბრალეულმა მძღოლმა მოიყვანა პირვანდელ მდგომარეობაში დაზიანებილი მონაკვეთი.
- 2 შემთხვევაში გამოვლენილია ბრალეული მძღოლი და მიმდინარეობს ზარალის დადგენის პროცედურა.

<u>ზედამხედველობის განყოფილება:</u>

2026 წლების დამტკიცებული ბიუჯეტით არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (მუნიციპალიტეტის ქონების იჯარა) შემოსავლის გეგმა სამსახურს განესაზღვრა **700000** ლარი, აქედან:

ქონების იჯარიდან შემოსული თანხები 2026 წლის 01 იანვრიდან 01 მაისამდე შეადგენს **118 566** ლარს;

გარე რეკლამის იჯარებიდან შემოსული თანხები 2026 წლის 01 იანვრიდან 01 მაისამდე შეადგენს **35 806** ლარს;

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარის გეგმა შეადგენს **120000** ლარს, აქედან:

მიწის იჯარიდან შემოსული თანხები 2026 წლის 01 იანვრიდან 01 მაისამდე შეადგენს **10 437** ლარს.

2026 წლის 1 მაისამდე ზედამხედველობის განყოფილების მიერ შედგენილია 73 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მათ შორის:

1.სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის დაკავებისათვის შედგენილია 2 ოქმი;

2. საზოგადოებრივი ადგილების თვითნებური შეზღუდვისათვის შედგენილია 6 ოქმი;

3. იერსახის თვითნებური შეცვლისათვის შედგენილია 3 ოქმი;

4. გზის საფარის თვითნებურად გაჭრისათვის შედგენილია 5 ოქმი;

6. გარე რეკლამის სანებართვო პირობების დარღვევისათვის, უნებართვო გარე რეკლამის და რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევისათვის შედგენილია 11 ოქმი;

7. ამტვერებადი მასალის გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებით ან/და არასათანადოდ გადახურული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისათვის შედგენილია 33 ოქმი;

8. ძირგაურეცხავი ან/და საბურავგაურეცხავი სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისათვის 3 ოქმი;

9. ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრისათვის შედგენილია 3 ოქმი;

10. სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოებისათვის შედგენილია 2 ოქმი;

11. სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობისათვის შედგენილია 5 ოქმი;

დაკისრებული ჯარიმის ჯამი შეადგენს **150 800** ლარს. შემოსულია **106 594.16** ლარი.

ჯამში განყოფილების საქმიანობის შედეგად ბიუჯეტში შემოსულია **271 403** ლარი.

<u>მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება:</u>

ავტომობილების დგომა-გაჩერების წესის დარღვევისთვის 2026 წელს შედგა **441** საჯარიმო ქვითარი;

დაიწერა **12 350** ლარის ჯარიმა;

ბიუჯეტში შემოსულია **7 216** ლარი;

აკუსტიკური ხმაურის დადგენილი ნორმების კონტროლის მიზნით შემოწმებული იქნა **2** ობიექტი;

<u>ეკოლოგიისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის ზედამხედველობის განყოფილება:</u>

2026 წლის 01 იანვრიდან 01 მაისამდე განყოფილების მიერ განხილული იქნა **208** წერილი;

32 თანხმობა ხეების გადაბელვით სამუშაოებთან დაკავშირებით;

85 თანხმობა ხეების სხვლა-ფორმირებასთან დაკავშირებით;

53 თანხმობა გამხმარი ხეების მოჭრასთან დაკავშირებით;

12 უარი ხეების მოჭრის, სხვა-ფორმირებასა და გადაბელვით სამუშაოებთან დაკავშირებით;

2 ინფორმაციული შინაარსის წერილი;

50 თანხმობა გამხმარი ტოტების მოჭრასთან დაკავშირებით.

<u>ობიექტების დაცვის, სწრაფი რეგიარებისა და გარე ვაჭრობის კონტროლის ზედამხედველობის განყოფილება:</u>

2026 წლის 01 იანვრიდან 01 მაისამდე უნებართვოდ განხორციელებული გარე ვაჭრობის გამოვლენის ფაქტზე შედგენილი იქნა 75 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მათ შორის:

61 ოქმი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 153(3) მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს დაჯარიმებას 20 ლარით (ჯამში 1220 ლარი);

10 ოქმი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 153(3) მუხლის მესამე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს დაჯარიმებას 100 ლარით (ჯამში 1000 ლარი);

4 ოქმი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 153(3) მუხლის მეოთხე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს დაჯარიმებას 500 ლარით (ჯამში 2000 ლარი).

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

მარეხი ნიჟარაძე: „ მიმდინარე წელს მოქალაქეთა რამდენი განცხადება შემოვიდა და რამდენზე განხორციელდა რეაგირება?“

ლევან კინწურაშვილი: „ ყველა შემოსულ განცხადებას აქვს პასუხი გაცემული სრულად,რეაგირებაც დაწყებულია, რც პროცესშია ის ჯერ არაა დასრულებული. თუმცა მაქსიმალურად ვცდილობთ, რეაგირება მოხდეს იმ დღესვე“.

მარეხი ნიჟარაძე: „დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება რთული თემა იყო, რა ხდება ამ მოსაკრებლის ირგვლივ?“

ლევან კინწურაშვილი: „მოსაკრებლის ამოღების მექანიზმი არის მხოლოდ სასამართლო. თუმცა, მოქალაქე რომელიც მოდის ჩვენთან , ვუკორექტირებთ და მაქსიმალურად ვეხმარებით გრაფიკით გადახდის ხელშეწყობით“.

ამირან კოპალეიშვილი: ,,სანებართვო პირობების დარღვევა, დადგენილება N44 რას ითვალისწინებს?"

ლევან კინწურაშვილი: ,,დარღვევად ითვლება ნებისმიერი დარღვევა, რომელიც არ მოდის პროექტთან შეთანხმებაში. ჯერ ხდება პროექტის კორექტირება, შეთანხმებულ პასუხს ველოდებით და შემდეგ უნდა მოხდეს ცვლილების განხორციელება. არქიტექტურამ უნდა შეითანხმოს კორექტირებული პროექტი".

ამირან კოპალეიშვილი: ,,რამდენი ლარია ჯარიმა დარღვეულ პროექტზე?"

ლევან კინწურაშვილი: ,, მე-3 კლასის ობიექტზე 10 000ლარი, მე-4 კლასის ობიექტზე - 15000ლარი".

დიმიტრი მხეიძე: ,,გარე მოვაჭრეების პრობლემა როგორ გადავწყვიტოთ? რა ალტერნატივას ვთავაზობთ?"

ლევან კინწურაშვილი: ,,შევხვდით ბაზრის ხელმძღვანელობას, შევთავაზეთ გადახდის ნაწილში პირველ ეტაპზე შეღავათი, შემდეგ გადაიხადონ დაწესებული ტარიფით. "

დიმიტრი მხეიძე: ,,გავაკეთოთ ფრაქციის წევრებთან მუშა შეხვედრა,სადაც ვიმსჯელებთ, გარე მოვაჭრეებისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომ გარეთ გასვლის სურვილი აღარ ჰქონდეთ."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ბატონმა დიმიტრი მხეიძემ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით **დაადგინეს:**

მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,, ,,მუნიციპალური ინსპექციის" ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების"
თავმჯდომარე დიმიტრი მხეიძე